



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211486

თარიღი:28/05/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28

ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ „ჩვენი სახლისათვის“ (ს/კ 421268194), ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის I შესახვევის, N2-ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.08.37.055) განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821139160; 19/05/2021) წერილი, რომელშიც ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ „ჩვენი სახლის“ დირექტორის წერილის საფუძველზე, ითხოვს თანხმობას მითითებულ სარეაბილიტაციო ცენტრს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის I შესახვევის, N2-ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.08.37.055) განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრ „ჩვენი სახლს“ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 (ერთი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის I შესახვევის, N2-ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (საკ.კოდი N29.08.37.055) განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართი.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

